



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

07 მარტი 2024



N 21/2391

შპს „ფაზისი ენერჯი და ენერჯის“

მის: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო-რაიონი, კორპუსი 15, ბ. 32
ელ. ფოსტა: m.tkebucava@phazisienergy.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი N797 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე 35,64 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის „მეტეხი ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2024 წლის 22 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილი (N 82-8224053135), რომელიც ეხება 21 და 22 თებერვალს სოფ. თელიანში, სოფ. მეტეხში და სოფ. დოესში გამართულ საჯარო განხილვებზე დაფიქსირებულ შენიშვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირების საკითხებს, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ადგილობრივი მოსახლეებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედებებს. ამასთან, წერილში მითითებულია, რომ სოფლების: მეტეხის, სადგურ მეტეხის დასახლების, ბარნაბიანთკარის, თელიანის, სასირეთის, დოესის და გრაკალის მოსახლეობა საპროექტო ჰესის მშენებლობის კატეგორიულად წინააღმდეგია.

გარდა ამისა, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით (წერილი N556) საპროექტო ჰესის ნაპირდამცავი ნაგებობა (N2) ზედდება „ხანდაკი-სასირეთი-მეტეხის“ სატუმბ სადგურთან, რომელიც ემსახურება სოფ. სიონის, სოფ. დოესის, სოფ. ყარაღაჯის, სოფ. სასირეთისა და სოფ. მეტეხის სარწყავი არხებისთვის წყლის მიწოდებას და მათზე დამოკიდებულ 1900 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მორწყვას. წერილში აღნიშნულია, რომ ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია ზემოაღნიშნული სატუმბი სადგურის შესახებ და შიდა ქართლის რეგიონის მნიშვნელოვანი ფართობის დატოვება სარწყავი წყლის გარეშე, უარყოფით გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა წარმოდგენილი საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრისა და ელექტროენერჯის გამომუშავების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- shp ფაილებზე არ არის დატანილი საპროექტო ჰესის გამყვანი არხი, ამასთან დასაზუსტებელია სამშენებლო ბანაკის ფართობი და პროექტის ფარგლებში მოსაწყობი/სარეაბილიტაციო მისასვლელი გზების მანძილები, რაც არ ემთხვევა shp ფაილებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას. განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში, აუცილებელია დაინტერესებული პირების ინფორმირების, მათი პოზიციების გათვალისწინების/შეთანხმების ამსახველი ინფორმაციის წარმოდგენა, ასევე დასაზუსტებელი საკითხების გათვალისწინება და სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა.

დანართის სახით გიგზავნით კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ შენიშვნებს/მოსაზრებებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დანართი: ელ. ვერსია
ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

